

როგორ გავზარდოთ განმავითარებელი შეფასების ეფექტურად  
გამოყენება ქ.რუსთავის ივანე ჯავახიშვილის სახელობის 24-ე  
კლასიკური გიმნაზიის დაწყებით კლასებში

ნათია გაჩეჩილაძე; ნინო ნონიაშვილი

*მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის განათლების ადმინისტრირების  
მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი*

კვლევის ხელმძღვანელი: ბერიკა შუკაკიძე(ასისტენტ-პროფესორი)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

## განაცხადი

*„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად“.*

*ნათია გაჩეჩილაძე*

*ნინო ნონიაშვილი*

04/07/2015

## აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს ქ.რუსთავის ივანე ჯავახიშვილის სახელობის 24-ე კლასიკური გიმნაზიის დაწყებით საფეხურზე განმავითარებელი შეფასების გაუმჯობესების მიზნით ჩატარებული პრაქტიკული კვლევის ანგარიშს.

განათლების სფეროში განხორციელებული რეფორმის შედეგად დაწყებით საფეხურზე გაუქმდა განმსაზღვრელი შეფასება და შემოღებულ იქნა მხოლოდ განმავითარებელი შეფასება. მიუხედავად იმისა, რომ 10 წელზე მეტი გავიდა ამ ცვლილებიდან, მაინც პრობლემატურია სკოლებში განმავითარებელი შეფასების სტრატეგიების ეფექტური გამოყენება.

ამ პრობლემის გამოსაკვლევად ქ.რუსთავის ივანე ჯავახიშვილის სახელობის 24-ე კლასიკური გიმნაზიის დაწყებით კლასებში ჩავატარეთ პრაქტიკული კვლევა. გამოყენებულ იქნა კვლევის შერეული მეთოდი. თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩატარდა ჯგუფური ინტერვიუ მასწავლებლებთან, განხორციელდა დაკვირვება საგაკვეთილო პროცესზე და შესწავლილ იქნა, მოსწავლეთა რვეულები/ბუქები და მასწავლებელთა ჩანაწერები. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში - კითხვარები დაურიგდა მასწავლებლებს, მოსწავლეებს და მათ მშობლებს.

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომში განხილულია განმავითარებელი შეფასების ფორმები და თითოეული ფორმის გამოყენების სიხშირესთან დაკავშირებული პრობლემები. შეფასებულია მასწავლებელთა უკუკავშირი და ნაჩვენებია მშობლის დამოკიდებულება დაწყებით საფეხურზე, მხოლოდ განმავითარებელ შეფასების არსებობისა და განმსაზღვრელი შეფასების გაუქმებასთან დაკავშირებით.

პრაქტიკული კვლევის ფარგლებში განხორციელდა ინტერვენციები, კერძოდ, შემუშავდა შეფასების მოქნილი რუბრიკები, რომელმაც მასწავლებლებს მისცა შესაძლებლობა მარტივად ეწარმოებინათ მოსწავლეთა უმრავლესობის აკადემიური მოსწრების ასახვა. ამასთან, ჩვენს მიერ შექმნილ - Excel დოკუმენტში მასწავლებლებმა დაიწყეს წერილობითი კომენტარების დაფიქსირება.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ კვლევის შედეგად გაუმჯობესდა მასწავლებელთა მიერ განმავითარებელი შეფასების გამოყენების ეფექტურობა. გაიზარდა, განმავითარებელი შეფასების, როგორც წერითი, ასევე ზეპირი ფორმით გამოყენება. თუ მანამდე მასწავლებელი განმავითარებელი შეფასებას წერილობითი კომენტარის სახით აკეთებდა მხოლოდ სემესტრის ბოლოს, ინტერვენციის შედეგად მასწავლებელმა დაიწყეს წერილობითი კომენტარების გამოყენება ყოველკვირეულად.

სამაგისტრო ნაშრომში, სამეცნიერო ლიტერატურის, საზღვარგარეთის ქვეყნების მაგალითების და კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე მოცემულია რეკომენდაციები. რომელიც შესაძლებელია გაზიარებულ იქნეს საქართველოს სკოლების დაწყებითი კლასების პედაგოგებისთვის.